სსიპ ვახტანგ გზირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის 173-ე საჯარო სკოლა წარმოგიდგენთ სასკოლო პროექტის: „მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა" (პროექტის ხელმძღვანელი : ლია თუშური) ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების მოკლე ანგარიშს.

პროექტი განხორციელდა „ახალი სკოლის მოდელი"-ის ფარგლებში.

პროექტის განხორცილები ვადები: 2021 წლის თებერვალი-2022 წლის ივნისი

მოკლედ ვიტყვი, რომ ეტაპობრივად გავიარეთ ყველა სავალდებულო პროცედურა , რაც სასკოლო პროექტის მოსამზადებელ და განსახორციელებელ ეტაპებს მოიცავს. კერძოდ, პროექტის მართვის გუნდში დაკომპლექტებაში ჩაერთო ყველა კათედრა. დირექციის წევრებიგან და კათედრების მიერ წარმოდგენილი კანდიდატებისგან შეიქმნა პროექტის მართვის გუნდი.

პროექტის მართვის გუნდის დაკომპლექტების შემდეგ სასკოლო საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია საკოლო პროექტის შესახებ. რვა პრიორიტეტული თემიდან შევარჩიეთ ერთი თემა. შერჩევა მოხდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტირების საშუალებით.

პროექტის სახელწოდებაა: „მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა"

გავწერეთ პროექტის მიზნები, ამოცანები, დავადგინეთ სამიზნე ჯგუფი, აღვწერეთ პროექტის სარგებლიანობა, მოსალოდნელი რისკები მათი ალბათურობის გათვალისწინებით. შევადგინეთ სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გავწერეთ კონკრეტული აქტივობა პროექტის 13 მახასიათებლიდან რომელს შეესაბამებოდა. ვადების, რესურსების და პასუხისმგებელი პირის, დადასტურების დოკუმენტების მითითებით. შევიმუშავეთ მონიტორინგის ფორმები და ინსტრუმენტები. აქტივობების განხორციელების კალენდარი, ბიუჯეტი, მოსალოდნელი შედეგები(რაოდენობრივი და თვისებრივი) შევაფასეთ პროექტის მდგრადობა.

პროექტის მართვის გუნდს ჰქონდა რეგულარული შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან (საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმართველობა და სხვა); ამ შეხვედრებზე ხდებოდა პროექტისათვის შესაბამისი აქტივობების შერჩევა, დაგეგმვა, განხორციელება და უკუკავშირი. საინტერესო იყო სხვადასხვა საგნობრივი კათედრა როგორ აკავშირებდა საგნის სწავლების მიზნებს და ამოცანებს პრიორიტეტულ თემასთან.

პროექტი იყო გრძელვადიანი. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ 2021-2022 სასწავლო წელს დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებზე.

მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობებიდან უმეტესობა განხორციელდა. კერძოდ, მოხდა არაფორმალური განათლების მიმართულების ჩართვა სასკოლო პროექტში. ამ მიზნით შეიქმნა სასკოლო კლუბი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობით.

TIFE-„ახალგაზრდები თავისუფალ ღონისძიებებში"

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ დაგეგმა და განახორციელა მინი პროექტები:

1) ფერი და მრავალფეროვნება (ქიმიის პედაგოგი მაკა გეგეშიძე)
2) ოპტიკა და ფერები ხალიჩებში (მარინა სიბაშვილი)
3) ფერთა მრავალფეროვნება საღებავებისა, რომელიც ბუნებრივად მცენარეებისგან მიიღება. (მარინა სიბაშვილი)

პროექტის მართვის გუნდის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, სასკოლო კლუბის და ესთეტიკის კათედრის ორგანიზატორობით და ჩართულობით სასკოლო სივრცეში და შემდგომ თბილისის ძველ უბანში დაიგეგმა და მოეწყო მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების(ბეჭედი, სამაჯური, ყელსაბამი, ჩანთა, ნახატები, მოხატული თეფშები, კერამიკული

ნაკეთობები) გამოფენა-გაყიდვა. საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაირიცხა უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად დაზარალებულ ადამიანთა დახმარების ფონდში. ამ აქტივობამ გაზარდა პროექტის მასშტაბურობა და სარგებლიანობა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პროექტის დასრულების შემდეგ მოხდეს მიღწეული შედეგების სათანადოდ გავრცელებას და გაზიარება დაინტერესებული პირებისთვის. ამ მიზნით, სკოლის ბლოგზე შევქმენით ჩანართი, სადაც განთავსებულია ყველა რესურსი, რომელიც პროექტის მიმდინარეობისას შეიქმნა. ბლოგის მისამართია:
https://173pedagogebi.blogspot.com/p/blog-page_82.html

პროექტის ძირითადი მიზანი იყო სასკოლო თემში ეთნიკური უმცირესობების მიმართ ცნობიერების ამაღლებ, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავება, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგების ამაღლება. სწორედ ამიტომ პროექტის მიზნიდან გამომდინარე შედეგის შენარჩუნებაზე ფიქრი უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობთ, განხორციელებული ზოგიერთი აქტივობა ტრადიციად გადავაქციოთ. მაგალიათად, ყოველ გაზაფხულზე ჩავატაროთ ფესტივალი სახელწოდებით: ,,მრავალფეროვანი საქართველო”. ტრადიციად გვინდა ვაქციოთ და ყოველწლიურად, **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ,** საქველმოქმედო მიზნით მოვაწყოთ და ჩავატაროთ მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების, აქსესუარების, ნახატების **გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხით დავეხმაროთ ბავშვთა სახლს.**

პროექტის მიმდინარეობისას პროექტის მართვის ჯგუფმა შეიმუშავა მონიტორინგის გეგმა, განსაზღვრა მონიტორინგის ფორმები.(დაკვირვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, რეფლექსია.) და შეფასების ინსტრუმენტები; (ინფორმაციის ანალიზი, თვითშეფასება, უკუკავშირი, კითხვარები) იმართებოდა შეხვედრა ყოველთვიურად (თვის ბოლოს); ან საჭიროებისამბერ. მონიტორინგის ჯგუფმა შეისწავლა თითოეული განხორციელებული აქტივობის მიღწეულ შედეგები (მონაწილე პირთა უკუკავშირის საფუძველზე); გაეცნო წარმოდგენილ მასალას აქტივობის შესახებ.

ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტების შესაბამისად (ინფორმაციის ანალიზი, თვითშეფასება, უკუკავშირი, კითხვარები) აფასებდნენ კონკრეტულ აქტივობებს, საჭიროების შემთხვევაში აქტივობის განმახორციელებელ პირს/პირებს აძლევდნენ საჭირო რეკომენდაციას.

ვფიქრობთ, რომ პროექტმა დადო ის შედეგები, რომელსაც მიზნიდან გამომდინარე ვგმავდით. პროექტის ფარგლებში შექმნილი მრავალფეროვანი რესურსები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-ვიდეო დოკუმენტაცია, კომპლექსური დავალებები, რომლების საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვიას, ასევე ის, რომ ზოგიერთი აქტივობა სასკოლო კურიკულუმის ნაწილი გახდება, საფუძველს გვაძლევს, რომ პროექტის მდგრადობაზე ვისაუბროთ.

ჩვენ აქ არ ვჩერდებით. მომავალ საწავლო წლისთვის ლიდერობის ექსპერტისგან გვაქვს რეკომენდაციები სასკოლო პროექტის შესახებ. კერძოდ, სასკოლო პროექტის მიმართულების დასადგენად , პრობლემის იდენტიფიცირებისთვის სარეეკომენდაციოდ შევმუშავებული კვლევის ინსტრუმენტები

1) არაფორმალური განათლების კომპონენტის შეფასება - https://bit.ly/3sD6mJQ
2) 2)სკოლაში ძალადობისა და ბულინგის მართვა - https://bit.ly/37N15Io
3) 3)დამრიგებლის საქმიანობის შეფასება - https://bit.ly/3yVDWyT
4) 4) სკოლაში თანამშრომლობის შეფასება - https://bit.ly/3lgOlNg

პატივისცემით, 173-ე საჯარო სკოლის პროექტის მართვის ჯგუფის სახელით ნინო ნიქაცაძე.